



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

06/12/2022 წელი

ქ. ბათუმი  
12<sup>00</sup> საათი.

- სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.
- სხდომას ესწრებოდნენ:** ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნივა, ციალა შავაძე და თამარ ქამადაძე.
- არ ესწრებოდა:** ზაალ ზაალიშვილი.
- მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

**1. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**2. განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**3. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 7;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**2. განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**1. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი და კომისიას დეტალურად გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადში შესატანი ცვლილებების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის

08 ივნისის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

**მიღებულია განკარგულება:**

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია, ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2022 წლის 08 ივნისის №1 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*(თან ერთვის)*

**2. განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 7;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი:)

**მიღებულია განკარგულება:**

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და დანართის 21-ე სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

21	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი)	პროფესიული საჯარო მოხელე	1	1800	მესამე	4	საჯარო დაწესებულებების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1.8
----	---	--------------------------	---	------	--------	---	---	-----

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალალონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

ტარიელ გოგიტიძე